თბილისის “დინამოს” მორიგი გამარჯვება

3 ივნისს მოსკოვში, სტალინგრადსა და კიევში შესდგა მეოთხე კალენდარული დღის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში (“ა” ჯგუფი).

სტალინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და სტალინგრადის “ტრაქტორის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ. გაიმარჯვა თბილისის “დინამოს” გუნდმა ანგარიშით – 4:0.

თბილისის “დინამომ” უკვე მეოთხე შეხვედრა მოიგო ზედიზედ. მოწინააღმდეგის კარში თბილისელებმა გაიტანეს 13 ბურთი, ხოლო თავიანთ კარში არ მიუღიათ არც ერთი.

ამრიგად, სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი კვლავ თბილისის “დინამოა”, რომელმაც ოთხი ჩატარებული მატჩიდან მოიგო ოთხივე და 8 შესაძლებლიდან მოაგროვა 8 ქულა.

“კომუნისტი”, 5 ივნისი 1945 წ.